


ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა                                                                       | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|---------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                       | 32384      | 234540     |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                  | 32895      | 311352     |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                 | 18331      | 40         |
| მარაგები                                                                                    | 0          | 5261       |
| მზა პროდუქცია                                                                               | 0          | 0          |
| სხვა                                                                                        | 0          | 5261       |
| საინვესტიციო ქონება                                                                         | 0          | 0          |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                  | 141435     | 735887     |
| ბიოლოგიური აქტივები                                                                         | 0          | 0          |
| თვითღირებულების მოდელით                                                                     | 0          | 0          |
| გადაფასების მოდელით                                                                         | 0          | 0          |
| გუდვილი                                                                                     | 0          | 0          |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                | 0          | 0          |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 3414180    | 3544691    |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                                                           | 0          | 0          |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში                                         | 0          | 0          |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                                  | 0          | 0          |
| სულ აქტივები                                                                                | 3639225    | 4831771    |
| ვალდებულებები                                                                               |            |            |
| საიჯარო ვალდებულება                                                                         | 4200       | 4200       |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 8969       | 1079847    |
| ანარიცხები                                                                                  | 72         | 17         |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          | 82         | 441        |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  | 23641      | 0          |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                                                  | 0          | 0          |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 0          | 0          |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 0          | 0          |
| მიღებული გრანტები                                                                           | 0          | 0          |
| სხვა ვალდებულებები                                                                          | 0          | 0          |
| სულ ვალდებულებები                                                                           | 36964      | 1084505    |
| საკუთარი კაპიტალი                                                                           |            |            |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 3950275    | 3950275    |
| საემისიო შემოსავალი                                                                         | 0          | 0          |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                | 0          | 0          |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | -348014    | -203009    |
| გადაფასების რეზერვი                                                                         | 0          | 0          |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        | 0          | 0          |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       | 3602261    | 3747266    |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                      | 3639225    | 4831771    |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   | 141435     | 1175800    |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              | 36964      | 1084474    |


დირექტორი: ზაზა ზურაბაშვილი



საქმიანობის შედეგები

| საქმიანობის შედეგები                                         | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|--------------------------------------------------------------|------------|------------|
| ნეტო ამონაგები                                               | 2894810    | 453333     |
| საქონლის გაყიდვიდან                                          | 0          | 0          |
| მომსახურების გაწევიდან                                       | 2894810    | 453333     |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                 | 0          | 0          |
| სხვა                                                         | 0          | 0          |
| გაყიდვების თვითღირებულება                                    | 0          | 0          |
| საწყისი მარაგები                                             | 0          | 0          |
| მარაგების შესყიდვა                                           | 0          | 0          |
| გადამუშავების დანახარჯები                                    | 0          | 0          |
| საბოლოო მარაგები                                             | 2894810    | 453333     |
| საერთო მოგება                                                | 5761       | 68399      |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                   | -890581    | -121799    |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                     | -333420    | -47774     |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                   | 0          | 0          |
| საპროცენტო შემოსავალი                                        | 0          | 0          |
| საპროცენტო ხარჯი                                             | -46462     | -9679      |
| იჯარის ხარჯი                                                 | -1658687   | -464000    |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                     |            |            |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                       | -28579     | -121520    |
| საოპერაციო მოგება                                            |            |            |
| გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:                              |            |            |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა           | 0          | 0          |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                     | 0          | 0          |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა   | 0          | 0          |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით              | 0          | 0          |
| ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან               | 0          | 0          |
| მიღებული დივიდენდები                                         | -103339    | -81489     |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                      |            |            |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი   | -131918    | -203009    |
| ოპერაციებიდან                                                | 0          | 0          |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                    | -131918    | -203009    |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                       |            |            |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):                            |            |            |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)      | 0          | 0          |
| გადაფასების რეზერვი                                          |            |            |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების      | 0          | 0          |
| უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ               |            |            |
| გადასახდელიანი პროგრამები)                                   | 0          | 0          |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                       | -131918    | -203009    |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                          |            |            |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში          | 3747266    | 0          |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის       | 0          | 0          |
| გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') |            |            |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)               | 0          | 0          |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                        | -13087     | 0          |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                    | 0          | 3950275    |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს               | 3602261    | 3747266    |

დირექტორი: ზაზა ზურაბაშვილი



ფულადი სახსრების მოძრაობა

| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                              | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები     | 316494     | 234540     |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | -284110    | 0          |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები       | 0          | 0          |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                                     | 32384      | 234540     |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                 | 0          | 0          |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                | 0          | 0          |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                     | 32384      | 234540     |

დირექტორი: ზაზა ზურაბაშვილი



შპს „ამაგი 77“-ს ფინანსური ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

## 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ამაგი 77“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2022 წლის 13 აპრილს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერია B22166193 . მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404635560, იურიდიული მისამართი - თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი № 101.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2022 წლის 13 აპრილს.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ნერუ ჩანქსელიანი პ/ნ 62004007315.

1.3. კომპანიის დირექტორია ზაზა ზურაბაშვილი, (პ/ნ 01032004011).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება, გადაზიდვის მომსახურება.

1.5. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 1 ადგილიდან (თბილისი, ფოთი).

1.6. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი ან მეკავშირე საწარმოები.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2022 წლის 13 აპრილიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი განისაზღვრება 2023 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების

წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

#### გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

#### დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

#### მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული საბანკო ანგარიშებზე (ვინაიდან ნაღდი ანგარიშსწორება არ წარმოებს).

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობები - 20 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10-12 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 1-5 წელი.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

## 2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არისბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები, კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

## 2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

## 2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

### 3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

#### 3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

|                          | ნაშთი 31.12.2023<br>მდგომარეობით | ნაშთი 31.12.2022<br>მდგომარეობით |
|--------------------------|----------------------------------|----------------------------------|
| ნაღდი ფული სალაროში      | 7056,76                          | 2128,12                          |
| ლარი საბანკო ანგარიშებზე | 25326,75                         | 232411,66                        |
| სულ:                     | <b>32 383.51</b>                 | <b>234540.00</b>                 |

კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს კომერციულ ბანკში სს „საქართველოს ბანკში“ და სს „თიბისი ბანკში“.

#### 3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

აღნიშნული მუხლი 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით მოიცავს:

|                                              | ნაშთი 31.12.2023<br>მდგომარეობით | ნაშთი 31.12.2022<br>მდგომარეობით |
|----------------------------------------------|----------------------------------|----------------------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები<br>მომსახურების გაწევიდან | 51225                            | 311352                           |
| სულ:                                         | <b>51225</b>                     | <b>311352</b>                    |

2023 წლის ბოლოსათვის კომპანიის გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნები შედგება, იურიდიული პირების გადაუხდელი თანხებისაგან, სულ - 8 დებიტორი 31.12.2023 წ. მდგომარეობით.

#### 3.3. მარაგები:

|               | ნაშთი 31.12.2023<br>მდგომარეობით | ნაშთი 31.12.2022<br>მდგომარეობით |
|---------------|----------------------------------|----------------------------------|
| სხვა მარაგები | 141435                           | 5261                             |
| სულ:          | <b>141435</b>                    | <b>5261</b>                      |

2023 წლის დასასრულს კომპანიის სხვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შედგება ძირითადად გასაყიდად გამიზნული საქონლისაგან, საწვავის და სხვა მარაგისაგან.

### 3.4. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

|                               | ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით | ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით |
|-------------------------------|-------------------------------|-------------------------------|
| მიწის ნაკვეთი<br>(არასასოფლო) | 0                             | 0                             |
| შენობები                      | 0                             | 0                             |
| ნაგებობები                    | 0                             | 0                             |
| ოფისის აღჭურვილობა            | 357                           | 0                             |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი       | 949                           | 1265                          |
| სატრანსპორტო საშუალებები      | 3412887                       | 3 543 426                     |
| სულ:                          | 3414193                       | 3544691                       |

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2023 წლის ბოლოს - 375764.38 ლარი.

### 3.4. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ:

|                                             | ნაშთი 31.12.2023<br>მდგომარეობით | ნაშთი 31.12.2022<br>მდგომარეობით |
|---------------------------------------------|----------------------------------|----------------------------------|
| ვალდებულებები საწარმოს<br>პერსონალის წინაშე | 81                               | 441                              |
| სავალდებულო საპენსიო<br>შენატანი            | 71.27                            | 16,84                            |
| სულ:                                        | 153.27                           | 457,84                           |

### 3.5. ნეტო ამონაგები:

|                     | 2023 წელი | 2022 წელი |
|---------------------|-----------|-----------|
| მომსახურების გაწევა | 2 894 810 | 453333    |
| სულ:                | 2 894 810 | 453333    |

2023 წლის ამონაგები მთლიანად შედგება მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავლებით, რამაც შეადგინა (დღგ-ის გარეშე) – 2 894 810,00 ლარი.

3.6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

|                                             | 2023 წელი | 2022 წელი |
|---------------------------------------------|-----------|-----------|
| რეკლამის ხარჯები                            | 0         | 0         |
| საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები       | 75329     | 0         |
| სხვა ჯარიმები                               | 520       | 0         |
| საკანცელარიო ხარჯი                          | 93        | 0         |
| საიჯარო ქირა                                | 46462     | (9679)    |
| კომპიუტერის ხარჯები                         | 0         | 0         |
| კომუნიკაციის ხარჯები                        | 9843      | 0         |
| საწვავის ხარჯები                            | 783981    | (171073)  |
| ცვეთის ხარჯი                                | 333413    | 0         |
| კომუნალური გადასახადების ხარჯი              | 0         | 0         |
| საოფისე ინვენტარუს ხარჯი                    | 0         | 0         |
| სატრანსპორტო საშუალებების რემონტის ხარჯი    | 474937    | 0         |
| საბანკო ხარჯები                             | 690       | (47632)   |
| მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული) | 183655    | (63093)   |
| შრომის ანაზღაურება                          | 880892    | (182 202) |
| საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი              | 136       | 0         |
| სხვა ხარჯები                                | 244248    | 0         |
|                                             |           |           |

3.7. საწესდებო კაპიტალი:

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 3950275,00 ლარს.

3.8. საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიაში 2023 წელს არ მომხდარა დაგროვილი მოგების განაწილება დივიდენდის სახით.

3.9. სასამართლო დავები

კომპანიას 2023 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.10. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2023 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენა იქონია მხარეთა შორის არსებულმა ურთიერთობებმა.

### 3.11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 20 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

### 3.12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 20 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.